საქართველო
ქალაქ ქუთაისის მერი
GEORGIA
Mayor of Kutaisi

№ 01-01-21/2363
30 09 2013 წ.

შ.პ.ს „პრაიმლასტი"-ს დირექტორს
ბატონ რამაზ სალდაძეს

ბატონო რამაზ,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ქალაქ ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების (კომისიის 30.09.2013 წლის სხდომის ოქმი №2) საფუძველზე გაცნობებთ, რომ თქვენ გამარჯვებული ხართ კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის ადმინისტრაციული შენობის (ქ. ქუთაისი, ნ.დუმბაძის ქ. №61) ზოგიერთ ფართში სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ (სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.procurement.gov.ge, საკონკურსო განაცხადი №973. 25.09.2013 წელი) კონკურსში.

გთხოვთ, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად მობრძანდეთ ქალაქ ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურში.

პატივისცემით,

თენგიზ თოფურიძე

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი,
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

3 Rustaveli ave. Kutaisi. Georgia. 4600
tel/Fax: (+995 431) 24-54-54. Fax: (995 431) 24-69-62
www.Kutaisi.gov.ge interrelations@Kutaisi.gov.ge

4600. საქართველო. ქუთაისი. რუსთაველის გამზ. № 3
ტელ/ფაქსი: (0431) 24-54-54. ფაქსი: (431) 24-69-62